



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი  
THE CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

თემის განვითარების ქსელური პროგრამა  
COMMUNITY DEVELOPMENT NETWORK PROGRAM

2006-2010

თბილისი

„არც წაწი ვარჯა,  
რომ წოცხა ი მკვდარს ეძვავსო,  
იყოს სოფე ინი და სოფე ისოვო არა იზრუნო!“

ნ. ბრიათაძე



პროგრამა განხორციელდა "ოქსფამ-ნოვიბ"-ის და "იიდ"-ის ფინანსური მხარდაჭერით  
© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

წინასიტყვაობა

INTRODUCTION

გამოცემის მიზანია მოკლედ გაგაცნოთ ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი ქსელური პროგრამის - „თემის განვითარება“ ყველაზე თვალსაჩინო მიღწევები და წარმატებები.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ 1998 წლიდან საქართველოს რეგიონებში სამოქალაქო ინსტიტუტების ფორმირებასა და გაძლიერებაზე მუშაობს. ამ მიმართულების მნიშვნელოვანი კომპონენტია ადგილობრივი ლიდერების საინიციატივო ჯგუფების შექმნა/გაძლიერება და მოსახლეობის გააქტიურება, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივი პრობლემების ეფექტურად გადაჭრის გზას წარმოადგენს.

2006 წლიდან ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლის ახალგაზრდობას, რაც ადგილებზე ახალგაზრდული სათემო ჯგუფების ფორმირებას და გაძლიერებას მოიაზრებს. სათემო ახალგაზრდულ ცენტრებს (საც) პროგრამა უწევს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, რათა მათ, თავის მხრივ, ხელი შეუწყონ სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და ადგილებზე არსებული რესურსის მობილიზებით, ადგილობრივი პრობლემების უკეთ მოგვარებას.

თემის განვითარების ქსელური პროგრამა ერთიანი მიდგომითა და სტრატეგიით მიმდინარეობს კახეთისა და გურიის რეგიონების 6 მუნიციპალიტეტში (ოზურგეთის, ჩოხატაურის, სიღნაღის, ლაგოდეხის, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები). ადგილებზე პროგრამის საქმიანობა ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების: საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი (ქ. ოზურგეთი) და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (ქ. ლაგოდეხი) დახმარებით ხორციელდება.

ამ ეტაპზე პროგრამა ინტენსიურად მიმდინარეობს კახეთის და გურიის რეგიონის 17 თემში (სოფელი ან დაბა), სადაც ადგილებზე უკვე ფორმირებულია და აქტიურად ფუნქციონირებს ადგილობრივი ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული სათემო ცენტრები, პროგრამის ხელშეწყობით და ფინანსური დახმარებით კი არაერთი სხვადასხვა პროექტია განხორციელებული დამატებით 5 თემში.

პროგრამის ფარგლებში შექმნილმა ახალგაზრდულმა ცენტრებმა წლების მანძილზე მუშაობის შედეგად დაამტკიცეს, რომ წარმოადგენენ ახალგაზრდა ლიდერების გამოვლენის, გამოცდილების და ცოდნის დაგროვების, სოფლებში მოქალაქეთა გააქტიურების და გადწვევების მიღების პროცესში ჩართვის ერთ-ერთ წარმატებულ საშუალებას.

The purpose of this publication is to provide a brief overview of one of the network programs of the Center for Strategic Research and Development of Georgia (CSRDG) - the Community Development Program which, in our view, has achieved quite important results and success.

Since 1998, CSRDG works for formation and empowerment of civil society institutions in the regions of Georgia and important part of the direction is development of community groups from local leaders and promoting participation of local population in solving problems in their villages.

Since 2006, the center pays special attention to the youth in the community that has been reflected in formation and empowerment of youth community centers (CYCs) in the villages. For this purpose the CSRDG provides CYC with technical-informational and financial (ongoing funding and grants) support. The formation of such groups in the villages promotes the realization of the local population's (especially young people's) capacity to solve local problems using local resources.

With common strategy and approach the Community development program takes place in 6 municipalities (Ozurgeti, Chokhatauri, Signagi, Lagodekhi, Telavi and Kvareli municipalities) of Guria and Kakheti regions. The program is implemented in cooperation with local partners: the Georgian Democratic Development Union (Ozurgeti) and the Georgian Civil Development Association (Lagodekhi).

At this stage the program intensively works in 17 communities (villages) of Guria and Kakheti regions, where local Community Youth Centers (CYCs) have already been formed and are currently operating. Besides, the Program supported and financed implementation of several different micro projects in 5 additional communities.

Throughout the years, CYCs proved to be an effective tool to identify local young leaders, to cumulate knowledge and experience, as well as to empower local populations for involvement in decision making processes.



პროგრამის დადებითი შედეგები

- ▶ ადგილებზე გამოიკვეთა ახალგაზრდა ლიდერები. პროგრამის ფარგლებში ტრენინგების, კონსულტაციების და პროექტების განხორციელების გზით ამ ლიდერებმა შეიძინეს ორგანიზაციის მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, აქტიურად თანამშრომლობენ მოსახლეობასთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, თვითმმართველობასა და მედიასთან, ისინი აშკარად ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდნენ.

POSITIVE RESULTS OF THE PROGRAM

- ▶ Local leaders were identified. As a result of trainings, consultations and project implementation activities the local leaders developed necessary management skills and are actively cooperating with the population, other civic organizations, self-government bodies and media. They turned into a force that has to be taken into account.



2006 წლიდან დღემდე სამიზნე სოფლების 50-მდე ახალგაზრდამ გაიარა ტრენინგები ისეთ საკითხებზე, როგორცაა: გუნდური მუშაობა და ლიდერობა, ეფექტური კომუნიკაციის უნარები; თემთან მუშაობის მეთოდები; პროექტების დაგეგმვა და წერა; ორგანიზაციული განვითარება და მართვის უნარები; მოხალისეთა მართვა; თვითშეფასების მეთოდები და სოციალური მენარმეობა. გარდა ამ საკითხებისა, ჩატარდა სემინარები მთელ რიგ საკითხებზე: საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი განვითარების პერსპექტივები საქართველოში; ნარჩენების მართვა; გენდერული თანასწორობა; ადგილობრივი თვითმმართველობა და ბიუჯეტირების პროცესი; მინის პრივატიზების საკითხები და სხვა.

During the period from 2006 up to now, about 50 young people from target villages went through trainings conducted on the following topics: team work and leadership; effective communication skills; community work skills; project planning and writing; organization development and management skills; self-evaluation methods and social entrepreneurship. Besides, seminars have been conducted on the following topics: social organizations and their development prospects in Georgia; waste management; gender equality; local self-governments and budgeting processes; land privatization issues etc.



▶ სათემო ახალგაზრდული ცენტრი გახდა ადგილი (ერთ-ერთი, ხშირად ერთადერთიც კი, ნათელი წერტილი სოფლისათვის), სადაც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული სწავლება, ინტერნეტი, სხვადასხვა თანამედროვე ლიტერატურა და ინფორმაცია, ასევე საჭირო დოკუმენტაციის/საბუთების ასლის დამზადება და სხვა ტიპის მომსახურებები, არაფორმალური განათლების მიღება (ცეკვის, უცხო ენის კლასები, საკვირაო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა წრე, ჭრა-კერვის კურსები, ტრენაჟორებით ვარჯიში და ა.შ.).

▶ The Community Youth Centers turned into a place (one of few and often the only place) in the villages where local population can receive access to computer training, internet, different types of modern literature and information as well as access to different services, such as preparation of necessary documents/copies of documents and informal education (dance classes, foreign language classes, Sunday schools, different groups for children of pre-school age, dressmaking courses, gym apparatus etc.).

**მარტო 2008-2010 წლებში სათემო ცენტრებში კომპიუტერული კურსი გაიარა 1440-მა ადამიანმა, ხოლო ინტერნეტით მოსარგებლეთა რიცხვმა 2500 შეადგინა.**

**ორგანიზაციის "პროგრესი"** ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს საზოგადოებისთვის კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და ინტერნეტ-სერვისი, რასაც უკვე მეხუთე წელია ახორციელებს. კომპიუტერული კურსების სხვადასხვა პროგრამები ამ პერიოდისთვის უფასოდ გაიარა 400-ზე მეტმა ადამიანმა, ასევე ინტერნეტ-სერვისით ისარგებლა 4500-ზე მეტმა პიროვნებამ.

ხუთი წლის უკან აღნიშნული სერვისების შეთავაზება ჩოხატაურის მოსახლეობისთვის, შეიძლება ითქვას, სიახლეს წარმოადგენდა, რაც დღესაც აქტუალურია.

ამ პერიოდში ორგანიზაციის ბაზაზე გადამზადდა 60-ზე მეტი სკოლის პედაგოგი, სხვადასხვა საჯარო სამსახურის 40-ზე მეტი თანამშრომელი, 10 ექიმი, საბანკო და კერძო სექტორში დასაქმებული 40-ზე მეტი ადამიანი, 35-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 60 სოციალურად დაუცველი პირი, ასევე სკოლის მოსწავლეები და ა.შ.

**სათემო ორგანიზაციის "ლელი I"** -ის ბაზაზე უკვე წელიწადნახევარია ფუნქციონირებს გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც ჩამოყალიბდა „ქალთა სან-განათლება დაავადება ოსტეოპოროზის დროული პრევენციის მიზნით“ - პროექტის ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა „ქალთა ფონდის“, „ფონდი ტასოს“ და „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ. პროექტის ფარგლებში 250-ზე მეტმა ქალმა გაიარა ლექცია-სემინარები დაავადება ოსტეოპოროზის და მისი პრე-

**Only in 2008-2010, 1410 people took computer courses at Community Centers, while the number of internet users reached 2 500.**

One of the activities of the youth organization "Progressi" is provision of computer courses and internet service. This organization has been involved in this activity for years. Since 2005 up to now, more than 400 people went through different kinds of computer courses, while more than 4 500 people used internet services.

Five years ago offering such services to Chokhatauri population was a novelty and now the demand is still high. During this period the organization retrained more than 60 school teachers, more than 40 employees of different public institutions, 10 doctors, more than 40 employees working in the banking and private sectors, more than 35 persons with disabilities and 60 socially vulnerable, as well as school pupils etc.

The Health Center of Community Organization "Leli I" was established within the framework of the project "Women's Education for Timely Prevention of Osteoporosis and has been operating for a year and a half. The Project was funded by the Women's Fund, Fund "Taso" and CSRDG. Within this



ვენციის გზების შესახებ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ შეხვედრებზევე ქალებს ექიმმა კონსულტაცია გაუწია არა მხოლოდ პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე, არამედ მათთვის პრობლემურ დაავადებებზეც. სემინარებზე დამსწრე სამიზნე ჯგუფის ქალებისგან დაკომპლექტებული გამაჯანსაღებელ ცენტრში მოვარჯიშე ქალთა ჯგუფების საჭიროების მიხედვით შედგა ინდივიდუალური სავარჯიშო პროგრამა და ერთი წლის განმავლობაში 20-ზე მეტი დაავადებული ქალი ვარჯიშობდა ამ ცენტრში. ამ ქალბატონების გარდა, ტრენაჟორული დარბაზით სარგებლობს 40-ზე მეტი ქალბატონი, სოფლის ახალგაზრდები და მოსწავლეები (გოგონები და ვაჟები).

დარბაზით სარგებლობის მსურველებს სათემო ორგანიზაცია „ლელი I“, ყოველმხრივ უწყობს ხელს. გამაჯანსაღებელი ცენტრი კვირაში ექვსი დღის განმავლობაში დილის 10.00-დან საღამოს 18.00-მდე ღიაა. ადგილზე მუდმივად არის დარბაზში არსებულ ტრენაჟორებზე პასუხისმგებელი პირი და ტრენაჟორებით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. გამაჯანსაღებელი ცენტრით დღემდე რამდენიმე ათეულმა ადამიანმა ისარგებლა და დღესაც ყოველ თვიურად აქტიურად ვარჯიშობს ოცამდე მსურველი.

ორგანიზაცია მუდმივად ზრუნავს გამაჯანსაღებელი ცენტრის განვითარებაზე და მომხმარებლისათვის კომფორტული გარემოს შექმნაზე.

მიმდინარეობს გამაჯანსაღებელი ცენტრის გასახდელის და საშხაპის სარემონტო სამუშაოები, რათა კიდევ უფრო კომფორტული გახდეს ცენტრის მომსახურება.

Project more than 250 women attended lectures/seminars about Osteoporosis and its prevention. It is worth to note that during these lectures the doctor provided consultations not only about the topic envisaged by the Project but also on other illnesses troubling the women. Groups of women were formed for exercising at the Health Center. Individual exercise programs were developed for the women, depending on their needs. During one year more than 20 women were exercising in the gym and more than 40 other women, youths and school pupils (girls and boys) were using the gym apparatus.

Community Organization "Leli I" provides maximum support to people willing to use the gym. The Health Center works 6 days a week, from 10.00 till 18.00. The person responsible for the gym equipment is always there and any person willing to use the gym apparatus can do so. The Health Center has been used by several dozens of people. Currently up to 20 people exercise there every month. The Community Organization tries to improve the Center and create comfortable environment for customers. At present refurbishment of the shower room and the locker room is going on in order to improve the service.



### სოფელი ლალისყურის სათემო ცენტრი „ფლაგმანი“.

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლალისყურში სულ 250-მდე ოჯახია, აქ 70-მდე მცირეწლოვანი ბავშვია, ხოლო მათგან 32 სკოლამდელი ასაკისაა. ამ სოფელში არ არის საბავშვო ბაღი. თავის დროზე არსებული სოფლის ბაღი ახლა უმოქმედოდაა და დაახლოებით 20 წელია რაც გაუქმდა. ჯერჯერობით, უახლეს მომავალში ბაღის აღდგენის არანაირი პერსპექტივა არ იკვეთება. აქვე დავძენთ, რომ სკოლამდელი აღზრდა მნიშვნელოვანი საფეხურია ბავშვთა აღზრდის პროცესში. ამას არა მხოლოდ მეცნიერული კვლევები ადასტურებს, ასევე ამ საკითხზე სათემო ცენტრის მიერ სოფელში ჩატარებული მოკვლევაც მიუთითებს, კერძოდ, გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ სკოლამდელი აღზრდის კურსის გავლის გარეშე ბავშვებს თანატოლებთან და მასწავლებელთან ურთიერთობის გამოცდილება არ აქვთ, სკოლაში მისვლისას უამრავ სიძნელეს აწყდებიან, რაც, საბოლოო ჯამში, ბავშვის სასწავლო პროცესს აფერხებს.

სოფელში გამოკვეთილი პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ მოგვარების მიზნით სათემო ცენტრის ბაზაზე ამოქმედდა სკოლამდელი აღზრდის კურსები. კურსებს ატარებს სპეციალობით სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტ-ფსიქოლოგი, ადგილობრივი სპეციალისტი. სკოლამდელთა საგანმანათლებლო პროგრამასა და პროგრამაზე „ნაბიჯ-ნაბიჯ“ დაყრდნობით. სამუშაო პირობებიდან გამომდინარე შედგენილია მინი პროგრამა რომელიც ითვალისწინებს: სხვადასხვა ინტერაქტიურ მეცადინეობებს თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების გამოყენებით, მხიარულ ვარჯიშებს და მოძრავ თამაშებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების წერისათვის მომზადებასა და ხატვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამ ეტაპზე სკოლამდელი აღზრდის კურსებზე 14 ბავშვი დადის. ბავშვების სასწავლო პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია, სწავლობენ ხატვას, გაფერადებას, ფიგურების ამოცნობას და დალაგებას, ლექსებს და სიმღერებს. ასევე ეჩვენებიან ერთმანეთთან და მასწავლებელთან ურთიერთობას.

იმართება სხვადასხვა სახის საბავშვო ღონისძიებები, საბავშვო ესტაფეტები და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი. პერიოდულად იმართება საყვარელი მწერლებისადმი მიძღვნილი კონცერტებიც.

### Community Center "Flagmani" of the Laliskuri village.


The population of the Laliskuri village of Telavi municipality consists only of 250 families including 70 young children. 32 of these children are under the school age. The village does not have a kindergarten. There was one about 20 years ago but it has not been operating since then. At present there are no prospects of restoring the kindergarten in the nearest future. Pre-school education is a very important stage in bringing up children. This has been proved by recent scientific research and the investigation carried out by the Community Center. Namely, the inquiry proved that children who do not go through pre-school education phase do not have an experience of communicating with their peers and teachers. After entering school they face many problems which eventually hinder the education process.

In order to address the identified problem at least partially, the pre-school education courses were organized at the Community Center. The course is delivered by a local specialist of pre-school education. A mini-program has been worked out based on the pre-school education program and the Step-by-Step program. It includes: different interactive lessons conducted with the help of visual didactic methods, entertaining exercises and active games. Special attention is paid to preparation of children for reading and writing and to development of drawing skills. At present 14 children of pre-school age attend these lessons. The teaching program is rather diverse. Besides, they get accustomed to communication with each other and teachers. The Center organizes different events for children, sports competitions and celebrations dedicated to the International Children's Day. From time to time concerts dedicated to favorite writers are organized.



- ▶ პროგრამის დაფინანსებით და თემის ჩართულობით სათემო ცენტრებმა ადგილობრივი მოსახლეობისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი არა ერთი პრობლემა გადაჭრა.
- ▶ With the help of the Program financing and community involvement, Community Centers solved many urgent and important problems of the local population.

დიაგრამა №1 Chart  
პროექტების თემატიკა Projects Priorities



**კოხნარის თემი**, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ლამაზი და მიმზიდველი თემია, რომელიც რაიონული ცენტრიდან დაახლოებით 13 კილომეტრითაა დაშორებული. თემში დაახლოებით 546 კომლია და შედის შემდეგი სოფლები: ნაკადული, ბურნათი, ნიფნარი და თავად კოხნარი.

როგორც ზოგადად გურიის უმეტეს სოფელსა და თემში, აქაც უამრავი საყოფაცხოვრებო თუ ზოგადად სასოფლო პრობლემაა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა გახლდათ სოფელ ნაკადულასა და სოფელ კოხნარას დამაკავშირებელი ხიდის არ არსებობა, ამ ორ სოფელს მხოლოდ მდინარეში ფეხით გასასვლელი გზა აკავშირებდა, სადაც მხოლოდ კარგ ამინდში თუ გაივლიდა კაცი, რადგან წვიმიანობის დროს ეს გზა კარგავდა თავის დანიშნულებას. არადა ეს 1 კმ-იანი გზა გაცილებით მოკლე და მოსახერხებელია ნაკადულ-კოხნარის მოსახლეობისათვის სოფელ ნიფნართან და აქედან უკვე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენტრთან დასაკავშირებლად, ვიდრე

**Kokhnari Community** of Chokhatauri municipality is one of the beautiful and attractive communities located about 13 km away from the regional center. The population consists of about 546 families living in the following villages: Nakaduli, Burnati, Tsipnari, and Kokhnari.

Like most of Guria villages, the community has huge number of problems. One of such problems was absence of a bridge between the villages Nakaduli and Kokhnari. The only way interconnecting the villages went through the river and became impassable in rainy weather. At the same time, this 1 km road was much shorter and more convenient for the village population to get to Chokhatauri municipal center because the bypass road was 9 km long. That's why the population preferred to use this road in order to get to St. George Chirch and school located in the Tsipnari village.



მეორე შემოვლითი 9 კმ-იანი გზა. ამიტომ მოსახლეობა ძირითადად ამ მოკლე გზას ირჩევდა სოფელ წიფნარში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარსა და საბაზო სკოლაში მისასვლელად.

მოსახლეობის არაერთი მცდელობა, საკუთარი ძალით აღედგინათ ხიდი, მოვარდნილი წვიმებისა და თოვლიანობის გამო, კრახით სრულდებოდა, ხელისუფლებისგან დახმარებაც (300 ლარი) ძალიან მწირი აღმოჩნდა ამ პრობლემის გადასაჭრელად. საბოლოოდ, ახალგაზრდული სათემო ცენტრის „კოხნარას“ სახელით „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ კონკურსზე გამარჯვებული პროექტის ფარგლებში ნაკადულისა და კოხნარის შემაერთებელი გზაზე გაკეთდა 5 მ-იანი სიგანის მილხიდი, არა მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის, არამედ სატრანსპორტო საშუალებებისთვისაც. ამასთანავე გაიჭრა და მოიხრეშა ამ ხიდთან მისასვლელი ახალი 800 მეტრიანი გზაც. 40 წლიანი უხიდობის პრობლემა სათემო ცენტრის ძალისხმევით, მოსახლეობის აქტიური მონაწილეობითა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, როგორც იქნა გადაიჭრა.

Several times the local population tried to restore the bridge but all their efforts were in vain due to heavy rains and snow. The government assistance (GEL 300) was not enough to solve the problem. The Community Youth Center "Kokhnari" won the mini-project competition announced by the CSRDG. A 5 meter bridge was built interconnecting the Nakaduli and Kokhnari villages. The bridge can be used not only by pedestrians but also by vehicles. Besides, new 800 m access road to the bridge was cut and covered with gravel. Thanks to the Community Center's efforts, active participation of the population and assistance of the local government the 40 year old problem was finally solved.




- ▶ მნიშვნელოვანია, რომ სათემო ცენტრებმა ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად შექმლეს ფინანსების მოპოვება არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსებიდან, არამედ მოსახლეობიდან, თვითმმართველობებიდან და სხვა ფონდებიდანაც. ნიშანდობლივია, რომ წლების მიხედვით სხვა წყაროებიდან დაფინანსების მოპოვების დინამიკა მზარდია (დიაგრამა 2).
- ▶ It is important that Community Centers managed to raise funds necessary for solving local problems. The funds were raised not only from the funding provided for within the program but also from the population, self-government and other foundations. It is worth to note that the amount of funds raised from other sources is growing every year (Chart №2).



დიაგრამა №2 Chart

დაფინანსების წყაროები ლარებში  
(დინამიკა წლების მიხედვით)


Funds in GEL  
(Dynamics shown by years)



დიაგრამა №3 Chart

დაფინანსების წყაროების განაწილება ლარებში  
(2008-2010 წ.წ.)

Distribution of funds from different sources in GEL  
(For 2008-2010)



2006 წლიდან დღემდე პროგრამის დაფინანსებით განხორციელდა 201 პროექტი, მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგინდა 160 878 ადამიანი, ხოლო პროექტში მონაწილეები 10 050.

STARTING FROM 2006 UP TO NOW THE 201 PROJECTS WERE IMPLEMENTED WITH THE PROGRAM FINANCING. THE NUMBER OF BENEFICIARIES REACHED 160 878, WHILE THE NUMBER OF PROJECT PARTICIPANTS EQUALED TO 10 050.



▶ სათემო ცენტრები გახდნენ ცნობადი საკუთარ თემში, სოფელში და მათ მოსახლეობის დიდი ნდობა მოიპოვეს, ეს უკანასკნელი კი მართლაც ძალიან რთულად მისაღწევია.

▶ Community Centers have become well known at their communities and villages and gained considerable trust of the population which was really very difficult to achieve.


2007 და 2009, 2010 წლებში პროგრამის ფარგლებში 3-ჯერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების მიხედვით სათემო ცენტრების ცნობადობამ საშუალოდ 80% შეადგინა, თუმცა ზოგიერთი ცენტრისათვის ეს მაჩვენებელი 100% იყო, ხოლო მათი მუშაობის კმაყოფილების ხარისხის მაჩვენებელმა 95%-ს მიაღწია.

According to the public surveys conducted in 2007, 2009 and 2010 within this Program, in average 80% of the population was informed about Community Centers, although in case of some Community Centers this parameter reached 100% and the level of satisfaction with their work was 95%.

დიაგრამა №4 Chart

**სათემო ცენტრების ცნობადობა – 2007-2009 წლების პროცენტული მონაცემების შედარება**

The population's awareness about community centers - 2007-2009 Comparison of % data






### 2010 წლის გამოკითხვის შედეგები

გსმენიათ თუ არა რაიმე თქვენს სოფელში არსებული სათემო ახალგაზრდული ცენტრის შესახებ?

### Results of 2010 Survey

Have you Heard anything about the Youth Community Center working in your village?




დიაგრამა №5 Chart  
 სათემო ცენტრებით  
 კმაყოფილების ხარისხი  
 Level of Satisfaction

რამდენად მოგწონთ ცენტრის საქმიანობა?  
 (%-ული მაჩვენებელი)

How do you like the Center's activity? (%)


2007-2009 წლების კვლევის შედეგები

Results of 2007-2009 Survey



2010 წლის კვლევის შედეგები

Results of 2010 Survey



- ▶ სათემო ცენტრები სხვა ორგანიზაციებისა და პროგრამებისათვის დასაყრდენ ძალად და რესურსად იქცნენ და მათ შეძლეს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად განეხორციელებინათ პროექტები.

პროექტი „განათლება ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს“ ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ და ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „პროგრესი“ ერთად განახორციელეს. „გადავარჩინოთ ბავშვები“ ფედერაციის მიერ დაფინანსებული ამ პროექტის მიზანი იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების გამოკვლევა და შესწავლა, ინკლუზიური სწავლების მეთოდით მათთვის განათლების მიცემა და სხვადასხვა სკოლებში ინტეგრაცია. პროექტის ფარგლებში შეისწავლეს 92 ბავშვი. მოკვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად ორგანიზაცია „პროგრესმა“ და „აკპამ“ იზრუნეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოციალურად დაუცველი ფენების, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ინტეგრაციის დაცვაზე.

*ინტერესების დაცვის შედეგად:*

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 4 ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვის კვება (დაფინანსება 10,000 ლ.). ბავშვები მარაგდებოდნენ მათთვის საჭირო სპეციფიკური ცილაგამოცლილი საკვებით.
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ 20 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის მომზადდა სასკოლო წიგნებით უზრუნველყოფის პროგრამა (დაფინანსება 1,200 ლ.);
- 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ჩაერთო სკოლის სასწავლო პროცესში, მათთვის მომზადდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- 20 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ინტეგრირებულია ახალგაზრდული ცენტრის სხვადასხვა კლუბებში (დებატ-კლუბი, ეკო-კლუბი და კომპიუტერული სასწავლო კურსები).



- ▶ Community Centers and their leaders turned into a reliable resource for other civic organizations and developmental programs. They managed to implement projects in cooperation with other civic organizations.

**The Project "Accessible Education for all Children" was jointly implemented by the Association of Young Teachers and the Youth Organization "Progressi".**

The goal of this Project financed by "Save the Children" was to study the situation of children with special needs, to give them education through inclusive teaching method and integrate them in different schools. The investigation covered 92 children. In order to solve the problems identified during this investigation, the Youth Organization "Progressi" and AYT carried out certain work to protect the interests of socially vulnerable population - children with special needs.

*As a result of this work:*

- A provision was made in the budget of Chikhatauri municipality for 2009 in order to finance nutrition of 4 children suffering from phenylketonuria (GEL 10 000). The children received special protein free food products.
- A special program was developed to supply school textbooks for 20 children with special needs who live below the poverty level (GEL 1 200);
- Individual curriculums were prepared for 12 children with special needs in order to include them into the school education process;
- 20 children with limited abilities joined different clubs (a Debate Club, an Ecology Club and computer courses) operating on the base of "Progressi".







**ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის მიერ განხორციელებული პროექტის - „საზოგადოებრივი ბარიერი თუ დემოკრატიის მოთხოვნა“ - მიზანი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გაეთვალისწინებინათ მოსახლეობის აზრი და ყოფითი ინტერესები, რაც ამავდროულად გულისხმობდა ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების დანერგვას.**

პროექტის ადგილებზე დასაყრდენი ძალა გახლდათ სოფლებში არსებული სათემო ახალგაზრდული ცენტრები; მათ სანყის ეტაპზე ჩაუტარდათ ტრენინგები თვითმმართველობების კანონმდებლობაზე და ბიუჯეტის ფორმირების საკითხებზე. შვიდივე სამიზნე სოფელში განხორციელდა პრობლემების კვლევა, მოენყო მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრები, პრიორიტეტულ პრობლემებზე მომზადდა დასკვნები და საბიუჯეტო განაცხადები, რაც, დაფინანსების მოპოვების მიზნით, წარედგინა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.. აღნიშნული საქმიანობის შედეგად, ახალგაზრდული ცენტრის წევრებმა უფრო ღრმად შეისწავლეს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის წესები და მეთოდები, თუ რა პრინციპით იხარჯება მათ სოფლებზე გამოყოფილი თანხა და თუ როგორაა შესაძლებელი ამ თანხების ხარჯვისა და მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელი საქმიანობის კონტროლი.

პროექტის შედეგად, თითოეული სოფლის მინიმუმ 2 პრობლემის მოგვარებაზე განაცხადები წარედგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს (ანუ ჯამში 14 განაცხადი) და მუნიციპალიტეტმა ისინი დააფინანსა. ეს პროექტები ამ ეტაპისათვის უკვე დასრულებულია. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტების განხორციელების პროცესის მონიტორინგში აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდული სათემო ცენტრების წევრები, განსხვავებით სხვა, არასამიზნე სოფლებში მიმდინარე მუნიციპალური პროექტებისა, ეს პროექტები საკმაოდ ხარისხიანად შესრულდა.

The Project "Public Barrier or Demand for Democracy" was funded by the "Open Society - Georgia" Foundation and implemented by the Democratic Development Union of Georgia. The goal of the project was to make sure that representatives of the local self-government of Ozurgeti municipality take into account the opinions and needs of the local population during the decision making process which at the same time implied establishment of a mechanism for public control over the government.

Local Community Youth Centers formed in the villages acted as the main resources for the project implementation. At the initial stage members of the CYCs received training in self-government legislation and budgeting. Current problems were investigated and public meetings were organized in all seven target villages (were CYCs have been formed); conclusions and budget applications were prepared concerning the priority problems and submitted to the local municipalities. As a result of these activities members of the CYCs improved their knowledge of rules and methods of cooperating with municipalities, the principles based on which funds allocated for their villages were spent and methods of controlling municipal expenses and operation.



ოზურგეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „სტუდენტურ ახალგაზრდულმა სათათბირო“, ახალგაზრდულ ცენტრ „პროგრესთან“ ერთად (ჩოხატაური) განახორციელა პროექტი - „ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ“ - იგი ორიენტირებული გახლდათ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პოპულარიზაციაზე. პროექტით განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოფლად მცხოვრებ ამომრჩევლებს. ამ პროექტის გეოგრაფიული არეალი მოიცავდა მხოლოდ ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, კერძოდ, იმ სამიზნე სოფლებსაც, სადაც ფუნქციონირებდნენ ახალგაზრდული სათემო ცენტრები. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული ცენტრის კოორდინატორებს ჩაუტარდათ ტრენინგი ფასილიტატორის ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობის შესახებ.

